დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109233326**
თარიღი:**28/11/2023**

ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 - 2024 წლების საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი"-ს მიერ (ს/კ 425358739) დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების მომზადებისა და რაგბის ტურნირებში მონაწილეობისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფის მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტთან:

ა) 2023 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;

ბ) 2024 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი